



Հայաստանի

Կոնգրես -

Գրասենյակ

1. Ներքին գործեր
2. ՀՀ-ի արտաքին քաղաքականություն
3. Արևելահայաստանի անկախության հարցում
4. Ինքնիշխան Հայաստան
5. Հրեաների Հայաստանի անկախության հարցում
6. Ինքնիշխան Հայաստանի անկախության հարցում
7. Հայաստանի անկախության հարցում
8. Հայաստանի անկախության հարցում
9. Ինքնիշխան Հայաստանի անկախության հարցում
10. Ինքնիշխան Հայաստանի անկախության հարցում

1630 1630

6-36/200

2350 10/2/71



ფ. ლასსალი

მისი ცხოვრება და

მოღვაწეობა

„რისთვის უნდა ვიტანჯოდ? იმისთვის, რომ ღმერთმა ჩამიდგა სული, რომელიც მომიწოდებს ბრძოლისათვის! მისთვის რომ ღმერთმა მომცა ძალა ბრძოლისათვის! მისთვის, რომ მინდა, მწყურია, ვიბრძოლო და ვიტანჯო მაღალი მიზნისათვის!“

ლასსალი

გამოცემა „ზუთნისა“, № 5.



თბილისი

სტამბა მ. ე. ხელაძისა, სოლოლაკი, პასკევიჩის ქ., სახ. № 3.
1906 წ.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 7 марта 1906 г.

ფ. ლ ა ს ს ა ლ ი

(1825—1864 წ.).

ფ. ლასსალი დაიბადა 11 აპრილს 1825 წელს პრუსიის ქალაქ ბრესლავლში. მამა მისი იყო უბრაელი ვაჭარი და გვარიანად შეძლებულად ცხოვრობდა. მთელს ქალაქში პატიოსან და კეთილ აღაშინად ითვლებოდა, თუმცა ცოტა ფიცხი ხასიათისა იყო. დედა მისი უბრალო ქალი იყო და მეტად უყვარდა თავისი შვილები, განსაკუთრებით ფერდინანდი. ლასსალს ერთი და ჰყავდა ფრედერიკა, მეორე ადრე მოუკვდა. მათ ოჯახში იზრდებოდა აგრეთვე შვილობილათ აყვანილი ემილია. იმ დროს ბრესლავლის ებრაელთა შორის სარწმუნოებრივი განხეთქილება არსებობდა: ებრაელთა ერთი ნაწილი ძველის ორტოდოქსალურ წესის მიმდევარი იყო, მეორე ნაწილი კი თავისუფალი მოაზრე იყო და ახალს მიმართულებას მისდევდა, ლასსალის ოჯახობა უკანასკნელ ჯგუფს ეკუთვნოდა. ახალი მოძრაობის მეთაური იყო რაბბინი გეიგერი, განათლებული კაცი, რომელიც ხშირად დადიოდა ლასსალებთან და რომლის ქადაგებამ გავლენა იქონია პატარა ფერდინანდზე. უკანასკნელი ხშირად დაჰყავდათ მშობლებს სინაგოგაში და თვითონაც

სიამოვნებით დადიოდა მარტო, რადგან ძლიერ შეუყვარდა რაბბინის ქადაგება.

ფერდინანდი რომ წამოიზარდა, მამამ გიმნაზიაში მიაბარა. ბავშვი ცუდად სწავლობდა, ზარმაცობდა, გაკვეთილებს არ ამზადებდა, ცუდ ბალებსაც ლეზულობდა, მაგრამ მამას უმაღლავდა. ლასსალი გულკეთილი, ცოცხალი, მოსიყვარულე ბავშვი იყო, მაგრამ ამასთანავე ძალიან თავ-მოყვარეც. მასწავლებლები გულ-ცივად ეპყრობოდნენ, არც ერთი არ ცდილობდა, ჩაეხედა მის გულში, წაეხალისებინა, გაედვიძებია მისი ცნობის მოყვარეობა. პირიქით, ზოგიერთები იმას ცდილობდნენ როგორმე შესწუხებიათ და გაემწარებიათ ლასსალი. ნამეტურ ემტერებოდა ლათინური ენის მასწავლებელი. გიმნაზიაში ყოფნის დროს მეხუთე კლასიდან (1840 წ.) ლასსალი დაიწყო დღიურის წერა, რომელიც შესწყვიტა წელიწად ნახევრის შემდეგ. ეს დღიური იძლევა მდიდარს მასალას ავტორის დასახასიათებლად. ლასსალიმა პატარაობიდანვე მიიქცია ყველას ყურადღება, პატივსა სცემდნენ არა მარტო მისიანები, არამედ აფასებდნენ გარეშენიც და ხშირად დიდები, განათლებული პირები უხალოვდებოდნენ და რჩევას თხოვდნენ სხვა-და-სხვა საქმის შესახებ. როგორც ვთქვით, ფერდინანდი ძალიან თავ-მოყვარე ბავშვი იყო. ერთხელ მამამ სცემა და გამწარებული ფერდინანდი გაიქცა თავის დასახრჩობათ და ძლივს გადაარჩინეს. ფერდინანდი არავის არ აპატიებდა შეურაცხყოფას და უსამართლობას და ყველასათვის მზად ჰქონდა

შესაფერი პასუხი. საქმრომ მიატოვა მისი და ფრედერიკა და მერე თავის საცოლოს წერილი დაჰქონდა და უკითხავდა მთელს ქალაქს. შეურაცხყოფილს ფერდინანდს შურის ძიებით აევსო გული. „წყევლა და კრულვა მას! — სწერდა თავის დღიურში. — ოცის წლის შემდეგაც არ დავივიწყებ ამას, შურს ვიძიებ და სამაგიეროს გადავუხდი იმას, ვინც ფეხით გათელა ჩემი საყვარელი მამის პატიოსნება!“ . ამ დროს ეკუთვნის ლასსალის დამეგობრება გერსტენბერგთან, 17 წლის ჰევიან და კეთილ ყმაწვილთან და ამ მეგობრობის შესახებ სწერს თავის დღიურში: „რა ბედნიერებაა, გყავდეს მეგობარი, რომელიც ჩაიხედავს შენს გულში და ყველაფერს მიგიხვდება!“ . ერთი წლის შემდეგ მისი მეგობარი ინგლისში გადასახლდა, ლასსალი ნამეტანი იტანჯებოდა, მაგრამ 15 წლის ყმაწვილი მომავალი იმედებით ინუგეშებდა თავს: „...თუ ჩემი მშვენიერი ოცნება განხორციელდება, მაშინ ჩემი მეგობარი შეაერთებს თავის ბედს ჩემ ბედთან და იბრძოლებს ჩემთან ერთად და ჩვენ გავიმარჯვებთ. ჩვენ უნდა გავიმარჯვოთ, რადგან უნდა გავიმარჯვოს ნათელმა და გაჰქრეს წყვიადიო!“ .

ფერდინანდი ზარმაცობდაო, ვამბობდით, მაგრამ ეს ზარმაცობა შეეხებოდა მხოლოდ გიმნაზიის გაკვეთილებს. ისე კი ბევრს კითხულობდა და მალეც გადაიკითხა საუკეთესო კლასიკები. უფრო კი, როგორც ფხიზელი და ნიჭიერი ყმაწვილი, ჰირდაპირ ცხოვრებისაგან სწავლობდა. განსაკუთ-

რებით იზიდავდა მის ყურადღებას ებრაელთა მდგომარეობა: გულს უკლავდა დაჩაგრული და წამებუ-ლი ერი, რომლისათვის არსად არ არსებობდა სამართალი და ხშირად ოცნებობდა, რომ თავის გმირულის და თავ-განწირულის ცხოვრებით მიშველებოდა თავის ერს და დაეხსნა იგი. უყვარდა მშობელი ერი, ცხარე ცრემლებს ღვრიდა მისთვის, მაგრამ კარგად ხედავდა ებრაელთა ნაკლულევანებებსაც: მათს სიმხდალეს და თავ-მდაბლობას, და წყრომით ევსებოდა გული. 1840 წ. დამასკოში მრავალი ებრაელი ამოწყვიტეს. გაბრაზებული ლასსალი ასე სწერს დღიურში: „საშინელებაა ამის წაკითხვა, საშინელებაა ამის გაგონება, თმა ყალყზე დამიდგა და ყველა გრძნობები ერთ გულის წყრომად გადამექცა! საზიზღარია ის ერი, რომელიც ითმენს ამას,—ან შური იძიოს ან ხმა გაკმინდოს. სამართლიანია, სამართლიანი კორესპონდენტის სიტყვები: „ამ ქალაქის ებრაელნი ითმენენ ისეთს სასტიკობას, რომლის მოთმენა შეუძლიანთ მხოლოდ ამ პარიებს“. თვით ქრისტიანებსაც უკვირთ ჩვენი უძრაობა, უკვირთ, რომ არ აღვსდგებით და არ ვამჯობინებთ ბრძოლის ველზე სიკვდილს ასეთს წამებულს ცხოვრებას!... ლაჩარო ერო, შენ ღირსი არა ხარ უკეთესის ხვედრის!... შენ მონობისათვის ხარ დაბადებული!“.

მალე შეუძლებელი გახდა ლასსალის გიმნაზიაში დარჩენა და, მისის თხოვნით, მამამ გადაიყვანა იგი ლეიპციგის კომერციულ სასწავლებელში; არა-

ვითარი მისწრაფება არ ჰქონდა ვაჭრობისადმი, მაგრამ უნდოდა როგორმე განშორებოდა ბრესლავლის გიმნაზიას. სამწუხაროდ ვერც ახალ სასწავლებელში მოეწყო ლასსალის საქმე. თუმცა ახლა კარგად სწავლობდა, მაგრამ პედაგოგებს არ უყვარდათ და ყოველნაირად ავიწროვებდნენ. მასწავლებლებს არ მოსწონდათ, რომ ფერდინანდი ცოცხალი, დამოუკიდებელი, ნიჭიერი და თავმოყვარე ყმაწვილი იყო. ნამეტურ შეიძულა იგი სასწავლებლის დირექტორმა, რომელიც ცდილობდა სრული სალდათური დისციპლინა დაემყარებია სასწავლებელში და სასტიკად სდევნიდა, თუ ვინმე გაბედავდა და საკუთარს აზრს გამოსთქვამდა. ერთხელ ფერდინანდმა თხზულება დაუწერა თავის ამხანაგს ტემაზე: „რითი შეიძლება უფრო გადუხადოთ მადლობა ღმერთს მოწყალებისათვის?“ თხზულებაში ის აზრი იყო გატარებული, რომ ღმერთისათვის სრულიად საჭირო არაა ლოცვების დუდღუნი, ღმერთს კეთილი საქმეები უნდა. მასწავლებელმა დაიწუნა ეს თხზულება. ლასსალი, როგორც ავტორი თხზულებისა, გამოესარჩლა ამხანაგს და შეეტაკა მასწავლებელს. დამარცხებულმა მასწავლებელმა დირექტორი მიიყვანა, რომელმაც ძალიან გაჰკიცხა ლასსალი და დარიგება მისცა, შემდეგში არ წარმოეთქვა ისეთი „უღვთო“ აზრები, რომ ღმერთს გაჭირვებულთა ცრემლების შეშრობა ეამება და არა ლოცვებიო. ამხანაგები ჯერ ცუდად უცქეროდნენ ლასსალს, მაგრამ შემდეგ-კი დაუახლოვდნენ და შე-

იყვარეს. ეს მით უფრო საჭირო იყო მისთვის, რომ პირდაპირ სწყუროდა ამხანაგობა და მეგობრობა და ერთი გატაცებული თხზულებაც-კი დასწერა მეგობრის შესახებ. გარეშე წიგნებს ეხლა უფრო მეტს კითხულობდა, კითხულობდა სიტყვა კაზმულ მწერლობას, პუბლიცისტიკას, კრიტიკას, ისტორიას. თანამედროვე პოეტებში განსაკუთრებით შეუყვარდა ჰეინე და ბიორნე. უყვარდა ჰეინე, მაგრამ არ მოსწონდა, რომ იგი ხშირად იცვლიდა აზრებს. უკვირდა, როგორ ამბობს ჰეინე: „მე როიალისტი ვარ და არა დემოკრატიო!“ რაც უფრო და უფრო უახლოვდებოდა ლასსალი მეცნიერებასა და ხელოვნებას, იმდენად უფრო და უფრო ხედავდა, რომ სულ სხვა ცხოვრებისათვის და მოღვაწეობისათვის იყო დაბადებული და მისი კომერციულ სასწავლებელში დარჩენა შეუძლებელი იყო. „ეხლა ცხადია ჩემთვის, — სწერს თავის დღიურში, — რომ მე უნდა შევიქმნე მწერალი. მე უნდა წარვსდგე გერმანელთა და სხვა ერების წინაშე და ცეცხლის სიტყვებით მოვუწოდო მათ თავისუფლებისათვის საბრძოლველად!...“ 1851 წ. გაზაფხულზე ლასსალიმა გაიცნო და დაუმეგობრდა ახალგაზდა ნიჭიერ პოეტს მეიერს, რომელმაც კიდევ უფრო დაარწმუნა, რომ უნდა დაეტოვებინა კომერციული სასწავლებელი და მეცნიერებისათვის მოეკიდა ხელი. ლასსალი კიდევ მეტის გატაცებით შეჴდგა მეცადინეობას და სამი თვის შემდეგ განშორდა ლეიპციგს, რომ დაბრუნებულიყო ბრესლაულში და მომზადებულიყო უნივერსიტეტში შესასვლელად.

მამა წინააღმდეგი იყო ფერდინანდის კომერციულის სასწავლებლიდან გამოსვლისა. მას უნდოდა, რომ შვილს პრაქტიკულ მოღვაწეობისათვის მოეკიდა ხელი და დახმარებოდა ოჯახს. ფერდინანდმა დიდის დავის შემდეგ, როგორც იყო, დაიყოლია მამა, თუმცა მამის წინააღმდეგობაც ვერ დააბრუნებდა უკან. შესანიშნავია 16 წლის ლასსალის და მამა მისის საუბარი.

მამა: მაშ რა გინდა შეისწავლო, რას გინდა ემსახურო? ფერდინანდი: მე მინდა შევისწავლო ქვეყნიერების უმაღლესი და უდიდესი მეცნიერება—ისტორია, რომელსაც ყველაზე უფრო მჭიდრო კავშირი აქვს კაცობრიობის უწმინდესს ინტერესებთან. მამა: მერე რითი გინდა ირჩინო თავი? ხომ იცი, რომ, როგორც ებრაელს, არსად ადგილს არ მოგცემენ! ფერდინანდი: თავს ყველგან დავირჩენ. მამა: პოეტობას ხომ არ აპირობ? ფერდ.: არა, მე მინდა პუბლიცისტიკას შევწირო ჩემი თავი: ეხლა დადგა ისეთი დრო, როდესაც უნდა ვიბრძოლოთ კაცობრიობის უწმინდესს მიზნისათვის... ყოველ ქვეყანაში, ყოველ ერში არიან ადამიანები, რომელნიც იბრძვიან, მარცხდებიან ან იმარჯვებენ! მამა (დიდი ხნის გაჩუმების შემდეგ): შვილო, ჭეშმარიტებას ამბობ, მაგრამ რად გინდა, რომ შენ ეწამო მაინც-და-მაინც. შენ ერთად-ერთი ნუგეში ხარ ჩვენი... ფერდ.: უნდა ვიბრძოლო, უნდა ვეწამო, რომ ამას მოითხოვს ჩემი ბუნება, უამისოდ ცხოვრება ჩემთვის შეუძლებელია.

ასე გათავდა სიყმაწვილე და პირველი პერიო-
დი ლასსალის ცხოვრებისა, რომელსაც ახასიათებს
საშინელი სიძულვილი ყოველს შვეიწროებისადმი,
ღრმა სიყვარული თავისუფლებისა და ბრძოლისად-
მი. ეს თვისებები კიდევ უფრო გაფართოვდა მასში
შემდეგ.

ერთის წლის შემდეგ ლასსალი უკვე ბრესლა-
ვლის უნივერსიტეტში იყო ფილოსოფიურ ფაკულ-
ტეტზე და მხურვალედ დაეწაფა კლასიკურს ფი-
ლოლოგიას, ფილოსოფიასა და ისტორიას. რამდე-
ნიმე ხნის შემდეგ არ დააკმაყოფილა სამშობლო
ქალაქის უნივერსიტეტმა და გადავიდა ბერლინის
უნივერსიტეტში. აქ შეუდგა საკუთარს გამოკვლე-
ვას საბერძნეთის ფილოსოფოსის ჰერაკლიტეს შე-
სახებ და 18 წლის სტუდენტმა დასწერა ისეთი
თხზულება, რომელმაც განცვიფრებაში მოიყვანა
პროფესორები. 1844 წ. გაათავა უნივერსიტეტი
ფილოსოფიის დოქტორის ხარისხით და გაემგზავრა
პარიზში იქაურ ბიბლიოთეკაში სამუშაოდ. პარიზში
დაუახლოვდა გამოჩენილ გერმანელ ემიგრანტებს
მარქსს, ენგელსს და სხ. აქ გამოირკვა და შემუშავდა
საბოლოოდ მისი საზოგადოებრივი შეხედულება. აქ
გაიცნო პირადად ჰეინე, რომელმაც დიდად შეიყვარა
იგი მაღალის ნიჭისა, ხასიათისა და ძლიერის ნები-
სათვის. „თქვენთან შედარებით მე უბრალო ბუზი
ვარო“, სწერდა ლასსალს ჰეინე. ამავე ჰეინემ უწოდა
ლასსალს გლადიატორი, რომელიც ამაყად მიდის
საბრძოლველად და უშიშრად ეგებება სიკვდილს.

1846 წ. ლასსალი დაბრუნდა ბერლინში, რომ მიეღო დოცენტის კათედრა. უნივერსიტეტში, სადაც აღტაცებით ეგებებოდნენ მას. მაგრამ აქ მოხდა ერთი გარემოება, რომელმაც ერთიან შესცვალა მისი განზრახვა. ლასსალმა გაიცნო გრაფ გაცფელდის ცოლი სოფიო, ქმრისაგან დაჩაგრული და წამებული, მეტად პატიოსანი და კეთილშობილი ქალი, და თავი გამოიდვა მის დასაცველად. გრაფმა შეიძულა ცოლი მალე ჯვარის დაწერის შემდეგ, დაუწყო ცუდად მოპყრობა, ავიწროებდა, ყოველ გვარს უსიამოვნებას აყენებდა, გააგდო, მოუსპო საშუალება, წაართვა შვილები და სოფიომ შეიჩინა მხოლოდ ერთი ვაჟი. ვის არ მიმართა ცოლმა, მაგრამ ვერაფერს ეღიროსა ქმრისაგან, რომელიც ყველა შევიწროებას იმას უმატებდა ზედ, რომ ათასნაირს ცილს სწამებდა ცოლს, ავრცელებდა მის შესახებ ჭორებს და უტებდა სახელს. ამ წვალებაში გაატარა სოფიომ მთელი 10 წელიწადი. ბოლოს ქმარმა მოუნდომა უკანასკნელის შვილის წართმევა (წინად წართმეულს შვილებს იმის ნებასაც კი არ აძლევდა, რომ მიწერ-მოწერა ჰქონოდა დედასთან). გრაფისაგან გამოგზავნილს კაცს რევოლვერით შეხვდა საბრალო დედა და დაემუქრა: ხელი არ ახლო ჩემს შვილს, თორემ ცოცხალი ვერ გახვალ აქედანო. მაშინ გრაფმა წერილი მისწერა შვილს: განშორდი დედას, თუ არ გინდა, მემკვიდრეობა დაგიკარგო.

ამ დროს გაიცნო ლასსალმა გაცფელდის ცო-

ლი და მეტად ააღელვა მისმა ტრაგიკულმა ისტორიამ. ერთის ადამიანის დაჩაგვრაში იგი ხედავდა მთელს დამპალს წესწყობილებას, ძალმომრეობას, უუფლებობის და სიმდიდრის აღვირ-აშვებულობას, ყოველივე საზოგადოებრივ უფლებების უარყოფას. ლასსალმა ხელი გაუწოდა სოფიო გაცფელდისას და თამამად უთხრა: „თუ თქვენ მტკიცედ გადაწყვიტეთ, გაიმარჯვოთ ან მოკვდეთ, მე მოვკიდებ ჩემს ახალგაზდას, მაგრამ ძლიერ ხელს თქვენს საქმეს და, გეფიცებით, ვიბრძოლებ სიკვდილამდის!“ ლასსალი ხედავდა, რომ იღუპებოდა ადამიანი, და თავის წმინდა მოვალეობად მიაჩნდა დახმარებოდა მას. ლასსალმა მიმართა სასამართლოს ქალბ. გაცფელდის დასაცველად. 21 წლის ახალგაზდა ებრაელი, რომელსაც არავითარი ნაცნობობა და იურიდიული მომზადება არა ჰქონდა, შეებრძოლა დიდებულს და მდიდარს არისტოკრატს. ეს საქმე სასამართლოებში 9 წლის განმავლობაში სწარმოებდა. არავითარმა განსაცდელმა არ შეაშინა ლასსალი. „მე გადავწყვიტე, — ამბობდა ის: — სიცრუეს დაუპირდაპირო სიმართლე, მაღალს ხარისხს — უფლება, ფულის სიმდიდრეს — გონების ძალა!“ პროცესი ნამდვილი ომი იყო ლასსალსა და გაცფელდს შორის. გრაფი არავითარს საშუალებას არ ერიდებოდა, რომ დაემარცხებინა მოწინააღმდეგენი, ერთხელ რევოლვერიც კი ესროლა ცოლს, მაგრამ ვერ მოახვედრა. ლასსალი მარჯვედ იყო, მთელი დემოკრატიული პრესა მას მიემხრო, რომელიც კარგად ხედავდა, რომ გა-

უფელდის და მისი ცოლის პროცესი პრინციპიალური ბრძოლა იყო ძველსა და ახალს ცხოვრებას შორის. ამ პროცესის გამო ლასსალს სატუსალოში ჯდომაც კი შეეხდა. ბოლოს მაინც დაამარცხა ბრწყინვალე გრაფი, რომელმაც სრულიად გაათავისუფლა ცოლი და მას დიდი ქონებაც მისცა.

ლასსალი მარტო ამ პროცესით არ იყო გატაცებული. გერმანიაში ახალი ცხოვრება იწყებოდა. დემოკრატიულმა აზრებმა ერთიან შეარყიეს გერმანია. 1848 წ. რევოლიუციაც მოჰხდა... როგორც სოციალისტი და რესპუბლიკელი, ლასალი მიემხრო დემოკრატიის უკიდურესს მემარცხენე მხარეს, ჩაეწერა სახალხო მილიციაში და მონაწილეობას იღებდა პარტიის ორგანოში „რეინის ახალს გაზეთში“. მაშინ მარქსი რეინის დემოკრატების კომიტეტის წევრი იყო და ლასალი კიდევ უფრო დაუახლოვდა მას. ამავე დროს ეკუთვნის ლასსალის დაახლოვება მუშათა წრეებთან. იგი უკითხავდა მუშებს ლექციებს და ხშირად წარმოსთქვამდა სიტყვებს „მეოთხე წოდების“ ისტორიულ როლის შესახებ. 25 აგვისტოს მთავრობამ დაატუსაღა პოეტი ფრეილიგრატი ერთის ლექსისათვის. ლასსალმა ამის გამო მოიწვია სახალხო კრება და გამოსცა პროკლამაციები. პროკლამაციამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და თუმცა მთავრობამ არ გაანთავისუფლა ფრეილიგრატი, მაგრამ ნაფიცმა მსაჯულებმა გაამართლეს იგი.

სამაგიეროდ მთავრობამ არ აპატია ეს საქციე-

ლი ლასსალს. მთავრობა კაი ხანია ცუდის თვალით უყურებდა გამოჩენილს დემოკრატს და ცდილობდა, როგორმე ხელში ჩაეგდო. დადგა რეაქცია, მთავრობამ დევნა დაუწყო დემოკრატიულს მოძრაობას და დაითხოვა ნაციონალური კრებული. რეინის დემოკრატების კომიტეტმა ამის გამო პროკლამაცია გამოსცა და მოუწოდა ხალხს წინააღმდეგობის გასაწევად. ლასსალმა ცხარე მონაწილეობა მიიღო მთავრობის საწინააღმდეგო მოძრაობაში, ჰბეჭდავდა პროკლამაციებს, იწვევდა კრებებს. ლასსალი დატყვევებულ იქმნა მთავრობის მიერ, რომელმაც მისცა სამართალში, მაგრამ, წინააღმდეგ მთავრობის ხრიკების და ზომებისა, ნაფიცმა მსაჯულებმა გაამართლეს ლასსალი. მაშინ მთავრობამ სხვა საშუალებას მიჰმართა და საპოლიციო სასამართლოს დადგენილებით მაინც 6 თვით დაატუსაღა ლასსალი.

შემდეგ ლასალი ცხოვრობდა დიუსელდორფში განმარტოებულად, მუშაობდა, სწერდა, მოგზაურობდა, არ აკლდებოდა სხვა-და-სხვა მხიარულობას. მაგრამ ცოცხალი და მოუსვენარი ბუნება ბერლინისკენ მიიზიდავდა ლასსალს, სადაც მეტი მასალა იყო მისი მოღვაწეობისათვის. ბერლინში მისვლა აკრძალული ჰქონდა მთავრობისაგან. ალ. ჰუმბოლტმა მოუპოვა ბერლინში დაბრუნების ნება 1857წ. და ლასსალი დაუყოვნებლივ გაეშურა სატახტო ქალაქისკენ. აქაც განაგრძობდა სამეცნიერო მუშაობას. მის სახლში იკრიბებოდნენ საუკეთესო წარ-

შომადგენელი ადგილობრივი ინტელიგენციისა, შესანიშნავი მეცნიერები, მწერლები და მხატვრები. ყველას ხიბლავდა ლასსალის ნიჭი და საუბარი. მაგრამ ლასალი ვერ დააკმაყოფილა ვერც ბერლინის ცხოვრებამ. ვერ ივიწყებდა იმას, რაც მოხდა 1848 წ. და რაც მოიქმედა მთავრობამ იმის შემდეგ. ყოველივე თეორეტიული მსჯელობა და განყენებული შრომა დანაშაულებად მიაჩნდა მაშინ, როდესაც „ამდენი სისხლი იყო დანთხეული და ამდენი საქმე ღალადებდა შურისძიებას“. მას სწყუროდა პრაქტიკული მოღვაწეობა, საქმე; ბრძოლისთვის დაბადებულს ადამიანს იზიდავდა ცხოვრების ზღვა. ყველაფერი შებორკილი და შეხუთული იყო გარშემო. ლასალი ვერ ახერხებდა მოქმედებას და რაკი ეს ვერ მოახერხა, მოინდომა, რომ სცენაზე მაინც მიეღო მონაწილეობა მოქმედებაში და ამით დაეკმაყოფილებინა ცოტათი მაინც თავისი წყურვილი: ლასალმა დასწერა დრამა „ფრანც ფონ-ზიკინგენი“, რომ ამით მიემართნა ხალხისათვის, ემცნო მისთვის თავისი საყვარელი აზრები, რომ სცენაზე მაინც დაენახა ყველას სახე ბრძოლისა, გაღვიძებულიყო და გამხნეებულს ხელი აეღო საბრძოლველად. პიესა გამსჭვალულია რევოლუციონური სულით. პიესაში აწერილია აჯანყება წვრილ აზნაურებისა და რაინდებისა მსხვილ ფეოდალების და თავადების წინააღმდეგ გერმანიის გასაერთიანებლად და თავისუფალ ეკლესიის დასამყარებლად. ხოლო იმის მაგიერ, რომ ფონ-ზიკინგენს

თავის დროშის ქვეშ შეერთებინა უბრალო ხალხი და ყველა უკმაყოფილო ელემენტი, მან მიმართა რაინდებს, რომლებიც დღენი უკვე დათვლილი იყო. ამიტომ შეუძლებელი შეიქნა ფონ-ზიკინგენის გამარჯვება. საყურადღებოა პიესაში ერთი ადგილი, რომელიც ახასიათებს ლასსალის შეხედულებას ბრძოლის ტაქტიკის შესახებ, და სადაც ავტორი ულრიხ ფონ-გუტტენის ენით ლაპარაკობს შემდეგს: „მეგობარო! ცუდად გცოდნიათ ისტორია. მართალი ხართ, როდესაც ამბობთ: გონებაა ისტორიის შინაარსიო, მხოლოდ მისი ფორმა მუდამ იქნება ძალა!.. ტყვილად ხართ ასეთის ცუდის აზრის ხმლის შესახებ! ხმალი, ამოღებული თავისუფლების დასაცველად, სწორედ ის განხორციელებული სიტყვაა, ის დედამიწაზე შობილი ღმერთი, რომლის შესახებ თქვენ ქადაგებთ. ხმლით გავრცელდა ქრისტიანობა, ხმლით მონათლა გერმანია კარლოსმა, რომელსაც დღესაც დიდებულს ვუწოდებთ. ხმლით დაემხო კერპთაყვანისმცემლობა, ხმლით განთავისუფლდა მაცხოვრის საფლავი! ხმლით გააძევეს რომიდან ტარქვინიოსი, ხმლით განდევნეს ელლადიდან (საბერძნეთიდან) ქსერქსი, დაიცვეს მეცნიერება და ხელოვნება! ხმლით იბრძოდნენ დავითი, სამსონი, გედეონი!“ ასეთი გატაცებული ქება ხმლისა, რასაკვირველია, გადამეტებულია, მაგრამ უნდა წარმოვიდგინოთ ის დრო, როდესაც მოქმედობდა ფონ-ზიკინგენი, და განსაკუთრებით თვითონ ლასსალის სულიერი მდგომარეობა, რომელშიაც ჩააგდო იგი

მაშინდელმა სასტიკმა რეაქციამ და გერმანიის საზოგადოების უსიციოცხოლობამ და უძრავობამ. სხვა ელემენტს ჯერ კიდევ არ ამოეღო ხმა და ლიბერალები კი მარტო სიტყვებით და თხოვნით ფიქრობდნენ მოვპოვებინათ მთავრობისაგან უფლებანი...

ლასსალის დრამის გამოქვეყნების დროს მოახლოვებული იყო იტალიის ომები ნაპოლეონ მესამის მეთაურობით ავსტრიის წინააღმდეგ. აშკარა იყო, რომ ნაპოლეონი საკუთარ ინტერესებით ხელმძღვანელობდა, მაგრამ ბევრი თანაუგრძობდა მას გერმანიაში, რადგან მისი ომების შედეგი იტალიის განთავისუფლება იქნებოდა. იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ნაპოლეონის წინააღმდეგ ქადაგებდნენ: ნაპოლეონი თუ ავსტრიას დაამარცხებს, მთელს გერმანიასაც დაღუპავსო. 1859 წ. ლასსალმა გამოსცა წიგნაკი „იტალიის ომი და პრუსიის დანიშნულება.“ თავის წიგნაკში აღიარებს გერმანიის ხალხის გაერთიანების აუცილებლობას. მთელი მისი მსჯელობა დამყარებულია ერთა თავისუფლების პრინციპზე; ლასსალის აზრით, „დემოკრატიულს პრინციპს“ უამისოდ არა აქვს ნიადაგი... ეროვნული პრინციპის საფუძველი კი ხალხის სულიერი არსებაა, რომელსაც სრული უფლება აქვს საკუთარის ისტორიულ განვითარებისა და თვით-განსაზღვრისა“. ამ პრინციპის გამო ლასსალი სიხარულით ეგებება იტალიელთა განთავისუფლებას, პრუსია არ უნდა ჩაერიოს ნაპოლეონის ომებში; პირიქით, გერმანიის გაერთების ინტერესები მოითხოვენ, რომ ავსტრია დაამარცხდეს, მაშინ პრუსიას

შეუძლია იკისროს ჰეგემონია გერმანელების შესაერთებლად.

აქ ლასსალი თითქოს ეწინააღმდეგება თავის რწმენას, რომ პრუსიის მთავრობაზე ამყარებს თავის იმედებს. მაგრამ ნამდვილად კი სულ სხვა მოსაზრებით და ანგარიშით ხელმძღვანელობდა. ლასსალს გაგებული ჰქონდა, რომ პრუსიის მთავრობას უნდოდა მოხმარებოდა ავსტრიას. ამიტომ იმას ცდილობდა, რომ როგორმე სახელი გაეტეხა მთავრობისათვის საზოგადოებაში. თორემ ისე, მისი მისწრაფება იყო უდინასტიებოდ გაერთიანებული გერმანია. მას უნდოდა, შეექმნა შეერთებული და განუყოფელი გერმანიის რესპუბლიკა, რომლის ნაწილები იქნებოდნენ დამხობილ ავსტრიის გერმანელთა მიერ დასახლებული მიწები.

1861 წ. ლასსალმა იმოგზაურა იტალიაში ღ პირადად ნახა გარიბალდი, რომელსაც ურჩია, დაეწყო ომი ავსტრიის წინააღმდეგ. საქმე, რომელიც ასე სწყუროდა გმირს, მაინც არსად იყო მისთვის. ამ დროს ლასსალმა გაიცნო რუსი ქალი სოლნცევისა. ლასსალს გატაცებით შეუყვარდა იგი; იმან კიდევ უფრო აუნთო ცეცხლი გულში, რომ ქალმა მაინც და მაინც მხურვალედ არ მიიღო მის მიერ სიყვარულის გამოცხადება. სოლნცევის ქალმა გადაწყვეტილი არაფერი უთხრა თავში და ლასსალმა, რომ უკეთ გაეცნო მისთვის თავისი თავი, მისწერა ვრცელი, 24 გვერდზე დაწერილი „აღსარება“, რომელიც, როგორც დღიური, მშვენებრად

ანასიეტებს მის ბუნებას. „ყველაზედ უწინარეს, სწერს ლასსალი სოლნცევის ქალს, უნდა მოიფიქროთ იმის შესახებ, რომ მე მთელი ჩემი არსება შევსწირე ჩემს საქმეს, ყველა მის უკიდურეს შედეგს. ეს საქმე გაიმარჯვებს, მხოლოდ ჯერ კიდევ მრავალს განსაცდელში ჩააგდებს იგი თავის მომხრეებს. ამ ბრძოლაში შეიძლება ისეთს მდგომარეობაში ჩავარდე, რომლისაგან ვერაფერი ვერ მიხსნის. ჩემს ქონებას, ჩემს თავისუფლებას, თვით ჩემს სიცოცხლეს მოელის განსაცდელი. შევწევთ ძალა, აიტანოთ უბედურების დროს ყველაფერი: განდევნა, სატუსალო, გაღატაკება და თვით სიკვდილი? და, რაც ყველაზე უარესია, ტანჯული სიცოცხლე? ლასალი იმასაც ეუბნება სოლნცევისას, რომ შეიძლება ჩემი ცხოვრება ბედნიერად მოეწყოსო, მაგრამ მაშინათვე დაუმატებს, განა შეიძლება პირად ბედნიერებაზე ლაპარაკი, როდესაც საქმე კაცობრიობის ბედნიერებას შეეხებაო?

სოლნცევის ქალი თუმცა დიდის პატივისცემით ეპყრობოდა ლასსალს, მაგრამ არ გრძნობდა მისდამი სიყვარულს და უარი უთხრა ცოლობაზე. ლასსალი სასოწარკვეთილებაში ჩავარდა. საშინლად დაიტანჯა, მაგრამ მალე შეურიგდა თავის ბედს, მით უმეტეს რომ საზოგადოებრივი ცხოვრება მოუწოდებდა საბრძოლველად.

პრუსიის მთავრობა ლიბერალებს გამოეთამაშა და გაუცინა; მოიწვია ლიბერალური სამინისტრო. ამ გარემოებამ თვალეხი დაუბრმავა შორს არ გა-

მკვრეტელ ლიბერალებს, რომლების დასაკმაყოფილებლად საკმარისი იყო მცირედი შეღავათი მთავრობისაგან. მაგრამ მალე გამოაშქარავდა, რომ აბსოლიუტური მონარქია და ლიბერალური ბურჟუაზია დიდხანს ვერ მოთავსდებოდა ერთად. მთავრობა დაუბრუნდა ძველ გზას და დაუწყო შევიწროვება დეპუტატთა პალატას. ლიბერალებს უნდოდათ წინააღმდეგობის გაწევა, მაგრამ ვერ ბედავდნენ. უფრო მორიგებით და მშვიდობიანად ცდილობდნენ საქმის გათავებას. ლასსალს არაფერი საერთო არა ჰქონდა ასეთს პარტიასთან და სასტიკი ბრძოლა დაუწყო ლიბერალებს. ჯერ პამფლეტი დაბეჭდა კრიტიკოსს შმიდტის წინააღმდეგ და მიწასთან გაასწორა საზოგადოდ ლიბერალების სიბრძნე და ლაჩრობა. მერე, როდესაც ზოგიერთმა ლიბერალებმა მიიწვიეს არჩევნების დროს სიტყვის წარმოსათქმელად ხალხის წინაშე, ლასსალმა ილაპარაკა კონსტიტუციის შესახებ და აქაც დაახასიათა ლიბერალების ტაქტიკის უნიადაგობა და უაზრობა. სხვადა-სხვა წრეების რეალური, ფაქტიური ურთიერთობა, ამბობდა ლასსალი, წარმოადგენს ნამდვილს კონტიტუციას. ამ კონსტიტუციიდან წარმოსდგება დაწერილი კონსტიტუცია. ნამდვილი კონსტიტუციის შეცვლა დამოკიდებულია ხალხის ცხოვრების ეკონომიურ ფაქტორების ევოლიუციაზე. ამიტომ როგორც კი შეიცვლება ეს ფაქტორები, უნდა შეიცვალოს საზოგადოების სხვადა-სხვა წრეთა ურთიერთობა და როგორც კი შეიცვლება ეს ურთიერ-

თობა, შეიცვლება დაწერილი კონსტიტუციაც. ისე მარტო დაწერილს კონსტიტუციის შეცვლას არავითარი აზრი არა აქვს. ამიტომ დამარცხდა 1848 წელს რევოლუცია, რომელმაც არ შესცვალა ნამდვილი კონსტიტუცია. თავისი სიტყვა ორატორმა იმით გაათავა, რომ საკონსტიტუციო კითხვების გადაწყვეტა დამოკიდებულია ძალაზეო. —ახალ არჩევნების დროს თუმცა ლიბერალებმა გაიმარჯვეს და პალატამ წინააღმდეგობა გაუწია მთავრობას, მაგრამ უკანასკნელი არაფერს მოერიდა, და სრულიად დაითხოვა დეპუტატთა პალატა. ამ დროს ეკუთვნის ლასსალის მეორე სიტყვა („ახლა რაღა?“), რომელიც წარმოსთქვა მან ლიბერალების წინააღმდეგ. მათ წინააღმდეგ იყო მიმართული მისი წერილი „ძალა და უფლება“-ც. მე რომ მეკითხებოდეს, სწერს ლასსალი, უთუოდ გავაბატონებდი უფლებას და არა ძალასაო; როდესაც კონსტიტუციის შესახებ ვლაპარაკობ, სახეში მაქვს არა ის, რაც უნდა იყოს, არამედ ის, რაც არის ნამდვილადაო.

ასე იბრძოდა ლასსალი ლიბერალების წინააღმდეგ, რომლებისაგან არ გამოელოდა არაფერს. გონება უფრო და უფრო იზიდავდა სხვა ელემენტისაკენ. ამ ძალას უახლოვდებოდა უფრო და უფრო და აქ ჰხედავდა თავის პრინციპების განხორციელებას.

მაგრამ ვიდრე ამ საგანს შეევუდგებოდეთ, საჭიროა თვალი გადავაავლოთ მაშინდელ გერმანიის პოლიტიკურ მდგომარეობას. მეცხრამეტე საუკუნის

დასაწყისში გერმანია ძლიერ განუვითარებელი იყო ეკონომიურად. მცხოვრებნი უმთავრესად მიწადმოქმედებას მისდევდნენ. ბატონ-ყმობა ჯერ გადავარდნილი არ იყო, გლეხები უზომოდ შევიწროვებულნი იყვნენ სხვა და სხვა გადასახადებით. მრეწველობა არ იყო განვითარებული და სადაც არსებობდა, შებორკილი იყო მთავრობის მიერ. ასეთსავე მდგომარეობაში იყო ვაჭრობაც. მოკლული იყო ყოველივე თვითმოქმედება, ინიციატივა, თავისუფლება, საზოგადოებრივი ცხოვრება. ნაპოლეონ პირველის შემოსევამ გამოათხიზლა გერმანიის ხელმწიფეები, დაინახეს, რომ ძველი რეჟიმი უვარგისი იყო, მოუწოდეს საზოგადოებას სამშობლოს განსათავისუფლებლად და აღუთქვეს რეფორმები. მაგრამ როგორც კი სამუდამოდ დამარცხდა ნაპოლეონი, გერმანიაში ყველგან ისევ ძველი წესი დამყარდა და კიდევ უარესიც. მეტერნიხის პოლიტიკამ მძიმე უღელი დაადგა ყველას კისერზე, ყველა შებორკა, მოსპო ყოველივე სიცოცხლის ნასახი. გააბატონა ყველგან პოლიცია და მთელი გერმანია აავსო ჯაშუშებით. ბურჟუაზიის ოცნება მხოლოდ წარსულს იგონებდა. მწერლობა და ხელოვნება განშორდა ცხოვრებას. ფილოსოფია შეუდგა არსებულის წესწყობილების გამართლებას. გერმანიას უნდა გაექცე, როგორც შავ-ჭირსო, სწერდა 1825 წელს ბიორნე, რადგან აქ უნდა იყო ან დევნილი, ან მდევნელი; ან ცხვარი, ან მგელიო. 1830 წელს საფრანგეთის და ბელგიის რევოლუციამ ცოტათი

შეაშუქა გერმანიაში. ამოდრავდა ბურჟუაზია, ზოგჯერ თმა სახელმწიფოებმა მოახდინეს რეფორმები, სამხრეთ გერმანიაში მწერლობამ გაშალა ფრთები, გაჩნდა „ახალგაზდა გერმანია“, მაგრამ არ გასულა დიდი ხანი და კვლავ დადგა რეაქცია, მხოლოდ მას არ შეეძლო ყველაფერი შეუცვლელად აღედგინა. ბატონ-ყმობა მოიხსოვრება, მრეწველობასა და ვაჭრობას მიეცა ცოტაოდენი თავისუფლება, გაიმართა რკინის გზები და ქვეყანა განვითარდა ეკონომიურად. გაძლიერდა ბურჟუაზია; ბურჟუაზიასთან ერთად გაჩნდა პროლეტარიატიც. ამ ორს უკმაყოფილო ელემენტს მიემხრნენ ხელოსნებიც. მოხდა 1848 წ. რევოლუცია. ბურჟუაზიამ გაიმარჯვა, მაგრამ გამარჯვებასთანავე მას თვალ წინ წარმოუდგა საშინელი ლანდი მუშა ხალხისა. ბურჟუაზია შეშინდა, გაუბედაობა დაეტყო, რის შედეგი იყო ახალი რეაქცია. უკანასკნელი ეხლაც ვერ ბედავდა სავსებით დაბრუნებოდა ძველს წესს. ყველგან შემოდებულ იქმნა საპარლამენტო რეჟიმი, თუმცა ძლიერ შეზღუდული. ეკონომიური განვითარება წინ მიდიოდა მთავრობის შეუმჩნეველად, ბურჟუაზიამ მეტი ძალა მოიპოვა, და მას უფრო გაეღვიძა მანდა პოლიტიკურ უფლებათა მოპოვებისა. ბურჟუაზიას უნდოდა მთავრობასთან ბრძოლა, ამ ბრძოლისათვის საჭირო იყო ხალხის დახმარება. როგორ უნდა მიემხრო ბურჟუაზიას მუშა ხალხი, რომელიც დაჩაგრული იყო მთავრობისაგან და ბურჟუაზიისა-

განაც? ბურჟუაზიამ ბევრის ფიქრის შემდეგ ასეთი ახალი ამბავი გამოაცხადა: ბურჟუაზიის და მუშების ინტერესებს შორის სრული ერთობა და თანხმობაა. მუშებისთვის არცაა საჭირო საარჩევნო უფლება, რადგან ბურჟუაზია იზრუნებს მათთვის. მუშებმა სულ დაანებონ პოლიტიკას თავის, მათ მხოლოდ დაარსონ სხვა და სხვა კასები და ფული შეინახონ შავის დღისთვისო...

ასეთის ტკბილის სიტყვებით ანუგეშებდა ბურჟუაზია პროლეტარიატს, რომელიც უკვე იწყებდა გაღვიძებას. ზოგიერთებს სჯეროდათ ბურჟუაზიის დაპირება. მაგრამ დიდი უმრავლესობა უკმაყოფილო იყო. ამ დროს დაუახლოვდა მუშებს ლასსალი.

12 აპრილს 1862 წელს ლასსალი წარსდგა ბერლინის მუშების წინაშე და მიმართა მათ თავის შესანიშნავის სიტყვით „განსაკუთრებული კავშირი თანამედროვე ისტორიული პერიოდისა მუშათა წოდების იდეასთან“. ეს სიტყვა იყო დასაწყისი მუშების განთავისუფლებისა ლიბერალურ ბურჟუაზიის ხელმძღვანელობისაგან. მუშები დაადგინენ დამოუკიდებელ გზას, შეადგინეს საკუთარი პოლიტიკური პარტია.

რა საზოგადოებრივი დანიშნულება აქვთ დღეს მუშებს? ყოველს ისტორიულ ხანაში, ამბობს ლასსალი, გაბატონებულია ერთი რომელიმე პრინციპი. წინად გაბატონებული იყო მსხვილი მიწისმფლობელობა, საშუალო საუკუნოებში ამ პრინციპით იყო გამსჭვალული მთელი ცხოვრება. ამის

შემდეგ გაბატონდა მსხვილი კაპიტალიზმი და ეხლა დადგა დღე „მეოთხე წოდებისა“. საფრანგეთის დიდი რევოლუიუცია უძლეველი იყო, ვინაიდან იგი იყო ნაყოფი სამრეწველო განვითარებისა და კაპიტალისტურ წარმოებისა, რომელიც თხოულობდა თავის არსებობისათვის ახალს ფორმებს. როდესაც ბურჟუაზიამ დაამარცხა ფეოდალური წეს-წყობილება, მას გულწრფელად სწამდა, რომ მის მიერ აღიარებული „ადამიანის და მოქალაქის უფლებანი“ შეიცავდა მთელი ერის ინტერესებს. მაგრამ მალე გამოაშკარავდა, რომ „ადამიანი“ იყო კაპიტალისტი, „ადამიანის უფლებანი“ ჰქონდა მარტო იმას, ვისაც ჰქონდა შეძლება. გაბატონებულმა ბურჟუაზიამ აღარ მისცა ღარიბ ხალხს მართვა-გამგეობაში მონაწილეობის მიღების უფლება, თუმცა სახელმწიფო გადასახადები კისერზე დაადგა უმთავრესად ამავე ხალხს. დადგა 1848 წელი და საისტორიო ასპარეზზე გამოვიდა „მეოთხე წოდება“, რომლის ინტერესები შეიქმნება პრინციპად ახალ ისტორიულ პერიოდისა. ხოლო, რადგან „მეოთხე წოდებას“ არაფერი არა აქვს, რისთვისაც საჭირო იყოს ახალი წოდებრივი პრივილეგიის შექმნა, ამიტომ ამ წოდების პრინციპი არის უარყოფა წოდებრივი ეგოიზმისა, ყველა პრივილეგიებისა, საზოგადოების ერთმანეთის მოწინააღმდეგე კლასებად დაყოფისა „მეოთხე წოდების“ (მუშების) მოწოდება არის პრინციპი თანხმობისა, რომელმაც უნდა მოსპოს საზოგადოებაში ერთი მეორის წინააღმდეგობა და მტრო-

ბა, პრინციპი ერთობისა, რომელიც ამოფხვრის ძირიანად პრივილეგიებს და შეღავათებს, პრინციპი სიყვარულისა, რომელიც დაამყარებს დედა-მიწაზე ქეშმარიტ ძმობას. „ამ მალაღმა მსოფლიო ისტორიულმა დანიშნულებამ უნდა აღავსოს თქვენი სული და გული!“. ასე მიმართა ლასსალმა დასასრულ მუშებს: „თქვენ კლდე ხართ, რომელზედაც უნდა აშენდეს ახალი ეკლესია!“...

ამ სიტყვაში გამოსთქვა ლასსალმა თავისი საზოგადოებრივი შეხედულებანი. ეს უბრალო იერიშის მიტანა კი არ იყო ლიბერალების წინააღმდეგ, არა, ეს იყო ნამდვილი „პროგრამა მუშებისა“, როგორის სახელითაც დაიბეჭდა იგი შემდეგ. ლასსალის სიტყვამ დიდი აღიქმითი გამოიწვია ბურჟუაზიაში, ხოლო ლიბერალმა მწერლებმა ვერ გაბედეს აშკარა წინააღმდეგობა გაეწიათ ლასსალისათვის. მაგრამ რაც ვერ გაბედეს ლიბერალებმა, გაბედა პროკურორმა, რომელმაც პასუხის გებაში მისცა ლასსალი ხსენებული სიტყვისათვის. ამ პასუხის გებამ დიდი სამსახური გაუწია ლასსალს, რადგან სასამართლო გადაიქცა ნამდვილ სააგიტაციო ასპარეზად. ლასსალი წარსდგა სასამართლოში არა როგორც ბრალდებული, არამედ როგორც ბრალმდებელი; არა როგორც თავის დამცველი მოსამართლეთა წინაშე, არამედ როგორც პროფესორი საუნივერსიტეტო აუდიტორიის წინაშე. ლასსალის საქმე რამდენიმე დღეს გაგრძელდა. ლასსალი სიტყვას სიტყვაზე ამბობდა, წინ სტოლზე მრავ-

ვალი წიგნი და გაზეთი ელაგა და განცვიფრებაში მოჰყავდა ციტატებით მოსამართლენი, ხშირად მოთმინებიდან გამოჰყავდა თავმჯდომარე და პროკურორი, თავმჯდომარემ არა ერთხელ წაართვა სიტყვის ნება, მაგრამ იგი მაინც განაგრძობდა ლაპარაკს და უმტკიცებდა სასამართლოს, რომ მას სრული უფლება ჰქონდა, ასე მოქცეულიყო. სხვათა შორის, ამ საქმის გარჩევის დროს წარმოსთქვა მშვენიერი სიტყვა „მეცნიერებისა და მუშაკთა შესახებ“, რომელშიაც ამტკიცებდა, რომ მეცნიერება თავისუფალიაო. „ჩვენი საუკუნის დიდებს ის შეადგენს, რომ მან უნდა მიაწოდოს მეცნიერება ხალხს. ევროპის დაქლექებულ ცხოვრებაში ორი ელემენტი დარჩა კიდევ ცოცხალი, დიდებული, განვითარების ნიჭით შემოსილი, ეს არის მეცნიერება და ხალხი, მეცნიერება და მუშები!..“ „ერის გულისათვის, მისი პატივცემისათვის, მეცნიერებისა და მისი ღირსებისათვის, ქვეყნისა და მისი კანონიერი თავისუფლებისათვის მე ვთხოვლობ, რომ გამამართლოთ!“ ასე დაამთავრა ლასსალმა თავისი სიტყვა. სასამართლომ მაინც ოთხი თვით დაპატიმრება მიუსაჯა ლასსალს. ლასსალი არ დაემორჩილა ამას, გადაიტანა აპელაცია და დაპატიმრების მაგიერ ასი მანეთის ჯარიმა შეაწერეს.

როგორც ზევით მოვიხსენიეთ, როდესაც უთანხმოება ჩამოვარდა მთავრობასა და ლიბერალებს შორის, უკანასკნელებმა მოუწოდეს მოსახმარებლად მუშებს, დაიწყეს აგატაცია მუშებში. მაგრამ ამ აგი-

ტაციამ მეტი ნაყოფი მოიტანა, ვიდრე ლიბერალები მოელოდნენ. ლიბერალებს უნდოდათ, რომ მუშები ყოფილიყვნენ მათი მონა-მორჩილები, მუშებს არ სთვლდნენ სრულ ადამიანებად. როდესაც ლიბერალებმა დააარსეს „ნაციონალ-ფერეინი“ გერმანიის გასაერთიანებლად, უკანასკნელის წევრებად არ მიიღეს მუშები: თქვენ „საპატიო“ წევრები ხართო, ასე ატყვილებდნენ მუშებს. მუშები, რასაკვირველია, კმაყოფილნი არ იყვნენ ასეთის მდგომარეობით. მათ შორის უკვე მომზადებული იყო ცოტათი ნიადაგი და 1863 წ. მუშებმა ლაპარაკი დაიწყეს მუშათა კონგრესის მოწვევის შესახებ. ამდროს მათ მიმართეს წერილით ლასსალს და სთხოვეს, გამოეთქვა თავისი აზრი შულცე-დელიჩის ამხანაგობათა შესახებ და საზოგადოთ იმის შესახებ, თუ რა და რა საშუალებით შეიძლებოდა მუშათა პოლიტიკური, ქონებრივი და გონებრივი მდგომარეობის გაუმჯობესობა. ლასსალმა სიამოვნებით მიიღო მუშების წინადადება და დაუყოვნებლივ დაბეჭდა თავისი პასუხი. ყველაზე უწინარესო, ურჩევდა ლასსალი მუშებს: უნდა განშორდეთ ლიბერალებს და შეადგინოთ საკუთარი პოლიტიკური პარტია. შულცეს ამხანაგობანი უსარგებლოა: რასაც მუშა შეინახავს, როგორც მომხმარებელი, იმას დაჰკარგავს, როგორც მწარმოებელი, რადგან მისი სამუშაო ქირა უთუოდ დაიკლებს. არსებობს სასტიკი, რკინის ეკონომიური კანონი, რომლის ძალითაც მუშას ეძლევა იმდენი, რამდენიც საჭიროა

მისი არსებობისათვის ადგილისა და დროს მიხედვით. წარმოებიდან მუშას ეძლევა მხოლოდ ის, რითაც თავი უნდა დაირჩინოს, დანარჩენი შემოსავალი მიდის კაპიტალისტის ჯიბეში. მუშის მდგომარეობა შეიცვლება, როდესაც მთელი შემოსავალი მის სასარგებლოდ იქნება. ამისათვის კი საჭიროა, რომ სახელმწიფომ გაუხსნას მუშებს კრედიტი და დაარსდეს საწარმოებელი ამხანაგობანი. ამის განსახორციელებლად უნდა შემოღებულ იქმნას საყოველთაო პირდაპირი საარჩევნო უფლება. ამ პრინციპების პროპაგანდისათვის ლასსალი ურჩევს მუშებს „მთელი გერმანიის მუშათა კავშირის“ დაარსებას.

ლიბერალები საყოველთაო საარჩევნო უფლების წინააღმდეგნი იყვნენ და საშინელი ომით გამოუცხადეს ლასსალს მისი „პასუხისათვის“. მართავენ კრებებს, აქეზებდნენ მუშებს ლასსალის წინააღმდეგ. იმართებოდა დისპუტები ლასსალსა და მის მოწინააღმდეგეთა შორის. ათასობით იკრიბებოდა ხალხი მის საყურებლად. მიუხედავად ლიბერალების ხრიკებისა და ათასნაირ წინააღმდეგობისა, ლასსალმა მაინც გაიმარჯვა: მუშები თითქმის ერთხმად მის სასარგებლოდ ადგენდნენ რეზოლიუციებს. ამ გამარჯვების შედეგი შეიქნა „მთელი გერმანიის მუშათა კავშირის“ დაარსება. 1863 წ. 23 მაისს ლეიპციგში შეიკრიბნენ მუშათა დელეგატები და დააარსეს „კავშირი“. თავმჯდომარედ აირჩიეს ლასსალი, თუმცა უკანასკნელი წინააღმდეგი იყო

ამის. „კავშირში“ თავში დაინკ-და-მაინკ ბევრი წევრი არ ჩაწერილა და ლასსალმა დაიწყო სააგიტაციო მოვზაურობა გერმანიის ქალაქებში. სხვათა შორის, ზოლინგენში 5000 ადამიანის წინაშე წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც კვლავ ამხედრდა ლიბერალურ ბურჟუაზიის წინააღმდეგ. მოვზაურობიდან დაბრუნდა ბერლინში და გამოცა 16 ათას ცალად „მოწოდება ბერლინის მუშებისადმი“. ამ წიგნაკში ლასსალი უმთავრესად იცავს საყოველთაო საარჩევნო უფლებას. კრებებზე ლაპარაკს ვერ ახერხებდა, რადგან ლიბერალები ყოველივე საშუალებით ხელს უშლიდნენ. მთელი ზამთარი 1863—64 წელს ბრძოლაში და უსიამოვნებაში გაატარა. ბევრი რამ იყო გასაკეთებელი და ერთის ადამიანის ძალ-ღონე არა კმაროდა. სხვათა შორის, ლასსალს აუცილებელ საქიროებად მიაჩნდა მუშათა მოძრაობისათვის პოლიტიკურ ეკონომიის შემუშავება. მიუხედავად სხვა მრავალი საქმისა, ლასსალი შეუდგა პოლიტიკურ ეკონომიის დაწერას და ოთხი თვის შემდეგ დაბეჭდა „ბასტია-შულცე დელიჩელი. ეკონომიური ივლიანე ან კაპიტალი და შრომა“. ეს თხზულება შესდგება ორის ნაწილისაგან: ერთია კრიტიკა ლიბერალურ პოლიტიკურ ეკონომიისა, მეორეში განმარტებულია ახალი ეკონომიური მცნებანი. მთელი თხზულება კომპილიტიურია, დამყარებულია მარქსისა, ლუიბლანის და პრუდონის ნაწერებზე. „კაპიტალმა და შრომა“-მ დიდი სენსაცია გამოიწვია როგორც მომხრეებს, ისე მოწინააღმდე-

გებს შორის, განსაკუთრებით თავის სასტიკი პო-
ლემიკის გამო შულცეს წინააღმდეგ. შულცე ლას-
სალის წინააღმდეგ მოქმედებდა მუშათა წრეებში,
ამიტომ იყო ლასსალი გაცხარებული და თავის შე-
უბრალებელის კრიტიკით მიწასთან გაასწორა ბურ-
ჟუაზიული ეკონომისტი, ძირს დასცა და დაამსხვრია
ლიბერალების კერპი.

ამ დროს ეკუთვნის ლასსალის დაახლოვება
ბისმარკთან. ბისმარკი ჰხედავდა, თუ რა ძალასაც
წარმოადგენდა ლასსალი და უნდოდა ესარგებლნა
მით ლიბერალების წინააღმდეგ. ლასსალიმა რო-
გორც კი შეიტყო, რომ რკინის კანცლერი უცქე-
როდა მას, როგორც იარაღს, მაშინვე გასწყვიტა
მასთან კავშირი. აგიტაციის დროს არა ერთხელ
წარსდგა ლასსალი სასამართლოს წინაშე. ერთხელ
შუა ქუჩაშიაც კი დაატყვევეს პოლიციელებმა.
მაგრამ ლასსალი სულით არ ეცემოდა და მხნედ
განაგრძობდა აგიტაციას. 1864 წ. გაზაფხულზე
ლასსალი ხელ-ახლა შეუდგა მოგზაურობასა და პრო-
პაგანდას. მუშები ყველგან ოვაციებით ეგებებო-
დნენ. რონსდორფში წარმოსთქვა თავისი უკანას-
კნელი სიტყვა, რომელიც ასე გაათავა (თითქოს
გრძნობდომ სიკვდილის მოახლოვებას): „ჩემი გრძნო-
ბები, რომელნიც მომაგონებენ სიკვდილს, ყველაზე
უფრო შემძლია გამოვხატო რომელი პოეტის
სიტყვებით: როდესაც მე დავიღუპები, ჩემის ძვლე-
ბისაგან აღსდგეს ჩემი მოადგილე და შურის მაძიე-
ბელი! დეე, ნუ დაიღუპება ჩემთან ერთად ეს დი-

დებულო ეროვნული კულტურული მოძრაობა! დეე, ჩემ მიერ ანთებულმა ცეცხლმა შთანთქას ყველაფერი გარშემო, გაძლიერდეს, გაფართოვდეს იგი, ვიდრე ცოცხალი იქმნება ერთი მაინც თქვენთაგანი!“...

ასეთმა განუწყვეტელმა შრომამ და ბრძოლამ დაღალა ლასსალი. ყველაზე უფრო ის სტანჯავდა, რომ შორს იყო ის მიზანი, რომლისთვისაც იბრძოდა, მისი ძლიერი და მოუსვენარი ბუნება კი თხოულობდა სწრაფ ცვლილებებს და რეფორმებს. ამ მდგომარეობაში იყო, როდესაც გატაცებით შეუყვარდა ელენე დენიგესი. ამ ქალს წინადაც იცნობდა: მოეწონა იგი, მაგრამ სერიოზული ყურადღება არ მიუქცევია მისთვის. სულ სხვა შთაბეჭდილება იქონია მასზე ელენემ, როდესაც ხელ-ახლა შეხვდა მას სამი წლის შემდეგ შვეიცარიაში. ლასსალი უცებ გაიტაცა ქალმა ჭ ლასსალმა დაუყოვნებლივ სთხოვა მას ცოლობა. ქალმაც თანხმობა გამოუცხადა, თუმცა ცოტაოდენის „ყოყმანის“ შემდეგ. მაგრამ როდესაც ელენემ მშობლებს უთხრა ამის შესახებ, უკანასკნელებმა ლანძღვით მოიხსენიეს ლასსალი და გადაჭრილი უარი უთხრეს ქალს. ელენემ ჯერ წერილით აცნობა ყველაფერი ლასსალს, მერე თვითონ გაიპარა მასთან, ჩაუვარდა ფეხებში და შეეხვეწა გაქცევის. ლასსალმა დაუბრუნა ქალი მშობლებს. უნდოდა ნებაყოფლობით გაეთავებინა საქმე. წერილები მისწერა ელენეს მამას პირად მოსალაპარაკებლად. დენიგესმა არც

ერთზე არ უპასუხა, თავის ქალი კი ჩამწყვდია
ოთახში და არსად არ უშვებდა. ლასსალის სიყვა-
რული უფრო და უფრო იზრდებოდა. რაკ მეტს
დაბრკოლებას ჰხედავდა წინ, იმდენად უფრო გიჟ-
დებოდა. არაფერს საშუალებას არ ზოგავდა,
ოღონდ გაენთავისუფლებინა ელენე. მაგრამ უკა-
ნასკნელი ძლიერ სუსტის ხასიათისა გამოდგა და
მალე დაემორჩილა მშობლების ნებას. ლასსალს შე-
მოუთვალა, დამივიწყეო. ლასსალი ხედავდა, რომ
ეს იძულებული პასუხი იყო და გამხნეების წერი-
ლებს სწერდა თავის სატრფოს. გადაწყვეტილი
ჰქონდა, უკანასკნელ წუთამდის განეგრძო სიკვდილ-
სიცოცხლის ბრძოლა წინდაწინვე გრძნობდა საში-
ნელს ბოლოს და სწერდა: „დიდი უბედურება მოხ-
დება, რადგან მე ვერაფერი ვერ შემაჩერებსო!“.
ბავშვნივით სტიროდა ხანდახან გამწარებული. მაინც
იმედს არ ჰკარგავდა, თუმცა ისიც გაიგო, რომ
ელენე სადღაც გაიტაცეს და დამალეს მშობლებმა.
ლასსალი დაბრუნდა გერმანიაში, მიმართა დასახმა-
რებლად ყველა მეგობრებს, უნდოდა ენახა თვით
მეფე ბავარიისა, რომ მის შემწეობით ძალა დაე-
ტანებია დენიგესზე. აუწერელი იყო მისი ტანჯვა
და ამ ტანჯვას არ უმაღავდა მეგობრებს: ვიტან-
ჯები და ვიღუპებიო! ყვიროდა, — ელენესაც მისწე-
რა კვლავ წერილი: „მდევის ძალა მაქვს, მაგრამ
გავაათასკეცებ მას, რომ შენ ჩემი შეიქმნე. დედა-
მიწაზედ ვერავინ ვერ წამართმევს შენს თავს,
ოღონდ იყავი მტკიცედ და ერთგულად... ვიტან-

ჯები ათასჯერ უფრო მეტად, ვიდრე პრომეთეოსი მიჯაჭვული კლდეზე. ხოლო შენ თუ მილალატებ მიუხედავად ფიცისა და ჩემის სიყვარულისა, მაშინ შეურაცხყოფილი იქნება ადამიანის ბუნება, მაშინ სასოწარკვეთილებას უნდა მივეცეთ ყოველის სიმართლის შესახებ, მაშინ სიცრუე იქნება ყველაფერი, რაც კი არსებობს!“. ამის პასუხათ ელენემ, რომელიც უკვე სრულიად დაემორჩილა მშობლებს, მისწერა, რომ სხვაზე ვარ დანიშნული, თავს განებებ თქვენ და ჩვენს ჯვარის დაწერაზე მეტია ლაპარაკიო. ლასსალმა დაუყოვნებლივ მისწერა კიდევ ელენეს: „გწერ მკვდარი. შენ, შენ მღუპავ. ეგ შეუძლებელია. მე არ შემიძლია დავიჯერო ასეთი ვერაგობა, ასეთი საშინელი ლალატი. შეიძლება დროებით დაგიმორჩილეს. მაგრამ ნუ თუ დაივიწყე ყოველივე სირცხვილი, ყოველივე სიყვარული, ყოველივე ერთგულება, ყოველივე სიმართლე?... ლასსალი კვლავ სთხოვს, იყავი ერთგულად და ყველაფერს მოვახერხებ, ჩემს სიყვარულს და ძალას საზღვარი არა აქვსო, ელენემ არაფერი არ მოიწერა პასუხად. მაშინ ლასსალმა მეგობრები გაგზავნა მასთან პირადად მოსალაპარაკებლად, რომელთა წინაშე ელენემ ურცხვად განაცხადა, ლასსალი არც მიყვარს, არც მყვარებია, არც რაიმე ფიცი მიმიციაო. ყველაფერი ეს რომ გადასცეს ლასსალს, იგი ჯერ თითქმის გამოფხიზლდა. მზად იყო, დაევიწყებინა ყოველივე, მაგრამ მალე საშინელმა ბრაზმა შეიპყრო. ნამეტნავად შეურაცხყო-

ფილად სთვლიდა თავის თავს. გამხეცებული ლომით დარბოდა თავის ოთახში, კვნესოდა და იმას გაიძახოდა, შური უნდა ვიძიო!

იმავე დღეს გამოიწვია დუელში ელენეს მამა; უკანასკნელი გაიქცა, ხოლო დუელში გამოვიდა ელენეს საქმრო იანკო ფონ-რაკოვიცი, რომელმაც სასიკვდილოდ დასჭრა ლასსალი 27 აგვისტოს 1864 წ. 31 აგვისტოს ლასსალი უკვე აღარ იყო ცოცხალი. „მოკვდა ახალგაზდა იგი—აქილესი, ბრძოლის ველზეო“, სწერდა ლასსალის სიკვდილის გამო მარქსი. ლასსალი დიდებულად დასაფლეს და დასაფლავება კიდევ უფრო დიდებული იქნებოდა, რომ მთავრობას წინააღმდეგობა არ გაეწია...

ასე გადაიცვალა ეს დევ-გმირი ადამიანი. გასაოცარია მისი ენერჯია, ნების ძალა, სიმტკიცე, შეუპოვრობა, ღრმა ნიჭი, ცოდნა, ორატორული მქვერ-მეტყველობა, სტიქიური წყურვილი ბრძოლისა სიმართლისათვის, მისი თავ-განწირულობა, რომელმაც არაფერს შემთხვევაში არ იცოდა უკან დახევა. ისტორიაში იშვიათად შევხვდებით მისებრ მებრძოლს, იგი თვით განხორციელებული ბრძოლა იყო, ცეცხლი, წინსვლა, დუღილი, გაუჩერებელი მოძრაობა. კაცობრიობა ვერასოდეს ვერ დაივაწყებს იმას მარტო იმისათვის კი არა, რომ იგი შესანიშნავი მოღვაწე იყო, არა, კიდევ უფრო იმიტომ, რომ იშვიათის ბუნების ადამიანი იყო.
